საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4369/01
28/04/2022

4369-01-2-202204281653

შპს „გრიგოლეთი 22“-ს
მის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ.გრიგოლეთი
ელ.ფოსტა: Teimuraz-1955@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №7741 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. გრიგოლეთში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მზა პროდუქციის (ღორღი, ქვიშა) განთავსების №3 მოედანი ხვდება წყალდაცვით ზოლში, შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 ტექნიკურ რეგლამენტთან თავსებადობის საკითხი;
- დოკუმენტის თანახმად, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 760 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 460 მეტრით (ს/კ: 27.15.56.018). შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთანავე, სკრინინგის განცხადებაში ატმოსფერეული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებები შეფასებული უნდა იყოს საწარმოს განთავსების ადგილიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით;
- დოკუმენტში მოცემული ტექნოლოგიური პროცესის აღწერა ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ, განცხადებაში ნათლად უნდა იქნეს აღწერილი საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირებიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე ქვიშა-ხრეშის გადამუშავების სრული ციკლი, შესაბამის გენგეგმაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადების მე-4 თავში მოცემულია ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ თავი, თუმცა აღნიშნულ თავში ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ არის აღწერილი და შეფასებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე